სამშაბათი 1919 წ. აპრილის 29 № 91
ფელიეტონი მეხუთე

სამშაბათი 1919 წ. აპრილის 29 № 91
ფასი 1 მან. და 50 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის ვინაობა** და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და **რედაქცია** არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია **დილის** 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. **სარედაქციო** საქმეების **გამო** პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—90 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 30 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ **საათისა** კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა **15--73**

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს" რედაქციის ფონდი. დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 26 აპრილს 1919 წელს გარდაიცვალა

მარიამ ანდრიას ასული

ჯავახიშვილისა

რასაც აუწყებენ მწუხარებათ სავსე: ეკატერინე ივანეს ასული, ივანე დაყითის ძე, თამარა გიორგის ასული, ნიკოლოზ დავითის ძე ჯავახიშვილები, ალექსანდრა დავითის ასული, ვასილი კონსტანტინეს ძე ციციშვილები, ნინა დავითის ასული, გიორგი დავითის ძე ერისთავები. გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს 30 აპრილს დილის 9 ნახ. საათზე ანდრეევის ქუჩიდგან № 32 ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათზე. 2—2338—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 27 აპრილს წარმოდგენილი იქნება

კარმენი

30 აპრილს საბანეევას გამოსათხოვარი बენეფისი „Mе ბატერფლეი", 1 მაისს საზეიმო წარმოდგენა „ხევილიელი დალაქი", 2 მაისს „მშვენიერი ელენე".

პირველ მაისიდან გაიხსნება რუსულ-ქართული საზაფხულო

საბავშვო ბაღი

გიგინეიშვილისა

საგნები: ფრანგული ან ინგლისური (მშობლების სურვილის მიხედვით) ფიზიკური ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, მუსიკა, ხატვა და ყვავილების მოვლა.

მიიღებიან ბავშვები 4—9 წლამდის.

ჩაწერა და ცნობების მიღება 8 საათიდან 6 საათამდის.

ოლღას ქუჩა № 31. ბინა 2. საბავშვო ბაღი. ტელ. 2 04.

12—2289—9

ლეკურის კურსებზე

მსახიობ

ელო ანდრონიკაშვილისა

1-ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგელოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—24

ახლად მოწყობილი სტამბა

„ხელოვნება"

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საპერეპლოტო საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ **დაკლებულ ფასებში.**

საყურადღებო სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას" აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წერ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—1)

გრძოლა სახელმწიფო საზღვრეგისათვის და მენშევიკური პოლიტიკა

დამოუკიდებელი და თვითმყოფი საქართველო არის თავდაპირველი სახელმწიფოებრივ-ეროვნული მიზანი, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით ყოველივე თანდართულ მოსაზრებათა გარეშე.

პოლიტიკურ თავისუფლების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელები უნდა მიჰმართავდნენ იმ ზომებს, რომელთა საშუალებით რესპუბლიკის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ნორმალურ სახელმწიფოებრივ ცხოვრების დამკვიდრება.

უუმნიშვნელესი პოლიტიკური აქტი სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარებისთანავე უნდა გამოსახულიყო საზღვრების კატეგორიული აღნიშვნით, ტერიტორიის მკაფიო ჩამოყალიბებით.

ამ გეზით უნდა მიმართულიყო რესპუბლიკის მართებლობის მოქმედება და მას ყოველივე საშუალებით უნდა განემტკიცებინა მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო სუვერენიტეტი და მეზობელ სახელმწიფოებთან ამ საკითხის დაუყოვნებლივ მოწესრიგებისათვის უნდა ცდილიყო ენერგიის მაქსიმალური დაბარჯვით.

მაგრამ, ყველას ეხსომება, რომ პოლიტიკის სათავეში მდგომი პარტია და მის წიაღიდან გამოსული მთავრობა ყველაზე ნაკლებად ტერიტორიის საკითხს აქცევდა ყურადღებას და მთელი ძალა და უნარი სოციალურ საკითხების რევოლიუციურად გადაჭრას შეალია.

ამ რესპუბლიკის მთლიანობისათვის საზიანო მოვლენას ჩვენ იმ თავითვე აღვნიშნავდით. დაქუცმაცებულსა და დასერილ სახელმწიფოში ასეთი მეთოდი ანარქიასა და არევ-დარევას იწვევდა და აძლიერებდა. ამით იმის თქმა კი არ გვიდნა, რომ არსებულ პირობებში სრულიათ ხელი აგვეღო სოციალურ გარდაქმნის ზრუნვაზე, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს სხეულის გამაგრებისა და შენახვის ფარგლებში.

ის კი ვიცოდით მაინც, რომ სოციალ-დემოკრატებს მეტად გაუძნელდებოდათ ამ სფეროში სათანადო შემოქმედების გამოჩენა! ამ პარტიის ადამიანები დღესაც არ მალავენ, რომ ისინი თავგამოდებით იცავდენ „ჯერ რუსეთის მთლიანობას, ხოლო შემდეგ ამიერ-კავკასიას", მაგრამ ცხოვრების მსვლელობა მათ სურვილებზე ძლიერი აღმოჩნდა და სოციალ-დემოკრატებიც, როგორც „ერთობა" გულახდილად შეჰნიშნავს, „იძულებული გახდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრების მოწყობას შესდგომოდნენ".

დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო, მაშასადამე, სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური დამარცხების უკანასკნელი ეტაპი ყოფილა და ამ „ხავსს" ქართველი მენშევიკები სასოწარკვეთილებით ებღაუჭებიან! ამიტომ გასაოცარი არ არის მათი აპატიური და უხალისო მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიის საბოლოო შემოფარგვლისათვის და ის მიკიბ-მოკიბული პოლიტიკა, რომლის წყალობით სხვისი სამკვიდრებელი საუცხოოდ იზოგებოდა საკუთარი საარსებო ინტერესის შეწირვით.

მიუხედავად ამისა „ცხოვრების მსვლელობა" მაინც ძლიერი აღმოჩნდა" და სოციალ-დემოკრატებს დიდი ენერგიის შელევა დასჭირდათ სწორედ იმ საკითხის გადაწყვეტაში, რასაც ისინი ასე გაურბოდენ ყოველჟამს.

კონფლიქტი მეზობელ სახელმწიფოებთან საზღვრების გამიჯვნის გამო აუცილებელი გახდა თვით ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მთავრობისათვისაც. „ცხოვრების მსვლელობამ" ნათელჰყო ჩვენ მიერ არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნული დებულება, რომ **ტერიტორიის საკითხი გადაუჭრელად საქართველოს სახელმწიფოებრივი მყუდროება ფიქცია იყო.** ეს ჭეშმარიტება დაგვიანებით „ერთობა"-საც შეუთვისებია და ამას საუკეთესოდ ამტკიცებს გაზეთის მწარე დასკვნა: „უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თითქმის განუწყვეტლივ ომს აწარმოებს მეზობლებთან".

მიზეზი? მხოლოდ მეზობელთა ავანტიურასა და მზაკვრობას ვერ მივაწერთ ამ გარემოებას!

„თითქმის განუწყვეტელი ომის" წარმოება ესოდენ ხნის განმავლობაში ჰგულისხმობს უფრო ღრმა და თვალსაჩინო მიზეზებს და ვფიქრობთ, რომ სწორედ საზღვრებისათვის ბრძოლას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ახალ სახელმწიფო ერთეულების შეიარაღებულ შეტაკებაში.

ამაოა შეთანხმება შეკავშირებაზე ლაპარაკი, ვიდრე კარდინალური, შულლის შექმნილი მომენტი გადუწყვეტელია.

დღეს თბილისში თავმოყრილნი არიან კავკასიის ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, რომელთაც მოსაგვარებელი აქვთ ამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განმამტკიცებელი საკითხები. მაგრამ, თუ ამ კონფერენციამ ვიწროთ შემოიხაზა სამუშაო გეგმა და საფინანსო საეკონომიო დარაგით განისაზღვრა თათბირი,—კავკასიის დამრღვევი და შემწუხებელი „გორდიის კვანძი", კვლავ გადუჭრელი დარჩება და ომის აჩრდილი, რომელიც ყველას აწუხებს, განთავისუფლებულ ხალხებს არ ჩამოსცილდება...

პრესა

სომხები და პარიზის კონფერენცია.

გაზ. „აშხატავორში" მოყვანილია სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარის პოღოს ნუბარ ფაშას წერილი ინგლისურ „ტაიმსში" დაბეჭდილი.

ნუბარ ფაშა სწერს:

„იმ ერების სიაში, რომლებსაც ნება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზავო კონფერენციაში, სომხის ერი არ არის. ჩვენი სიმწუხარე და იმედის გაცრუება განუმარტებელი რჩებიან. სომხები ბუნებრივათ ელოდენ, რომ მათ მოთხოვნილებას კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებით დააკმაყოფილებდენ.

„ახლა ყველამ იცის, თუ რა წარმოუდგენელი უბედურება და საშინელი ზიანი დაატყდა თავს სომხის ერს თავისი ნდობის გამო მოკავშირე სახელმწიფოებისადმი. მაგრამ უნდა ჩაუკვირდნენ იმ ფაქტს, რომელიც სამწუხაროთ, ბევრმა არ იციან, რომ ომის დაწყებიდან სომხები მოკავშირეებთან ერთად ხელი - ხელ ჩაკიდებულნი იბრძოდნენ ყველა ფრონტებზე მტრების წინააღმდეგ. ოთხ-მილიონ-ნახევარ სომხობიდან ერთ მილიონზე მეტს სიცოცხლე მოესპო ომში. სომხეთის მსხვერპლი შედარებით სხვა მეომარ ერის მსხვერპლთან უფრო მძიმეა. ჩვენი მოხალისეთა ჯარები იბრძოდნენ საფრანგეთის ლეგიონებში, აღმოსავლეთის ლეგიონში, 5,000 მეტი სომეხი იყო სირიის და პალესტინის ფროსტებზე. გენ. ალენშინის ჯარების ნახევარი ნაწილი სომხებისაგან შესდგებოდა. კავკასიაში რუსის ჯარებში 150 ათასი სომეხი ომობდა. აგრეთვე 50,000 სომეხი მოხალისენი ანდრანიკას, ნაზარბეგოვის და სხვ. მეთაურობით ებრძოდენ მტერს არა თუ მარტო ოთხი წელიწადი, არამედ—რუსეთის დაშლის შემდეგშიაც კავკასიაში წინააღმდეგობას უწევდნენ ოსმალების შემოსევას, ვიდრე დროებითი ზავი ჩამოვარდებოდა, ასე სომხებმა მე სოპოტამიის ჯარებს დაეხმარენ იმით, რომ ოსმალეთმა და გერმანიამ ვერ შესძლეს თავიანთი ჯარები გაეგზავნათ ინგლისელების წინააღმდეგ.

„ყველა იმ მოკავშირე სახელმწიფოებმა აღიარეს, რაც ლორდ რობერტ სესილმა განაცხადა ინგლისის პარლამენტში.

„აი, ამ საბუთებით სომეხთა დელეგაციამ ითხოვა, რომ სომხის ერი იცნონ როგორც მებრძოლი მხარე. ეს რომ ეცნოთ, ეხლა მიღებული უნდა ვყოფილიყავით კონფერენციაზე, სადაც დაშვებულნი არიან ატლანტიის იქითა მყოფი სახელმწიფონი, რომლებსაც ომში მონაწილეობა არ მიუღიათ. მათთვის საკმაო დარჩა, რომ გაეწყვიტათ გერმანიასთან დიპლომატიური დამოკიდებულებნი.

„იმ წუთს, როცა სომხეთის ბედიღბალი უნდა გადაწყდეს, ჩემი მოვალეობაა, როგორც სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარისა, მიუთითოთო იმ საყურადღებო როლზე, რომელიც აასრულა სომეხმა ერმა ამ საშინელ ომში".

ქართველ მაჰმადიანებზე

საუბედუროთ ქართველ მაჰმადიანების საკითხი მთელი თვისი სიგრძე-სიგანით დღემდე ვერ წამოგვიყენებია. დღემდე ჩვენი ინტერესი და საქმიანობა მარტო აჭარა-ქობულეთით ისაზღვრებოდა და უყურადღებოთ გვრჩებოდა მაჰმადიან ქართველების ისეთი ნაწილი რომელსაც საქართველოსთვის ხიდი ფასი და ღირსება აქვს. ჭანეთის საკითხი აჭარა-ქობულეთთან ერთად და 1915 წლიდან იქ სათანადო მუშაობა უნდა გაგვეჩაღებინა. თუ წარსულ წლების ეს საუცხოო შემთხვევა ხელიდან გაუშვით და პოზიციები ჭანეთში ვერ დავიჭირეთ, ჩვენი მხრით დიდი დანაშაული იქნება, თუ ჭანელ მოძმეთა ბედზე დღესაც არ ვიზრუნოთ, როდესაც ოსმალეთის იმპერიას დანაწილებს უპირებენ და სრულიათ უცხო ხალხები და სახელმწიფონი ჭანეთზე თვის პრეტენზიებს აცხადებენ მარტო იმისათვის რომ ჭ. ტრაპიზუნში რამდენიმე ასი, თუ ათასი ვაჭარი-კოლონისტი მოეპოებათ. ჩვენ სრულიათ არა ვართ დაინტერესებული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიით. ჩვენ არც ჩვენი ბუნებრივ საზღვრების გადალახვა გვსურს რაიმე ჯინგოისტური გეგმით. მაგრამ ჩვენი სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-ეკონომიური ინტერესი მოითხოვს ისე როგორც ზნეობრივი მოვალეობაც რომ ვიზრუნოთ იმ ქართველების ბედისთვის, რომელსაც სხვის ულელ ქვეშ თავისი ეროვნება შეუნარჩუნებია, და ხელუხლებად შეუნახავს რასიული კავშირი „დიდ მშობელ ერთან". ნუ თუ საქართველო, დღეს უკვე თავისუფალი ეროვნული სახელმწიფო, ხმას არ აღიმაღლებს თვისი ღვიძლი ნაწილის დაცვა შემოერთებისთვის. იმ დროს როდესაც ამ ნაწილს სხვები ეპოტინებიან! ოსმალეთის იმპერია ყოველ შემთხვევაში ერთგვარ რევიზიას განიცდის, რომელიც უსათუოთ ჭანეთსაც შეეხება. ასეთ კრიტიკულს დროს საქართველოს მთავრობა ვალდებულია თავისი აზრი გარკვევით და გადაჭრით ამცნოს დღევანდელ მდგომარეობის ბატონთ. ყოველი ზომებით ეცადოს საკითხის სამართლიან გადაჭრას მიაღწიოს ნამდვილი ინფორმაციის მიწოდებით ინგლის-ამერიკის მთავრობებისათვის. საქართველო ვერ დარჩება გულგრილ მაყურებლათ, როდესაც საქმე ჭანეთს შეეხება; ეხლა მოხდენილი დროა რათა საქართველომ გამოიყენოს თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული უფლებანი ჭანეთის მოსაქცევათ თვის საზღვრებში. საკითხი მთელი ოსმალეთის იმპერიის შესახებ უკვე დასმულია და ამით დასმულია ჭანეთის საკითხიც.

ერთად ერთი სამართლიანი და ბუნებრივის გადაჭრა საკითხისა იქნება საქართველოსი ჭანეთის ერთად შედუღება. მაგრამ ჩვენი ინტერესი და მოვალეობა მაჰმადიან ქართველობისადმი არც მარტო ჭანეთით განისაზღვრება. მთელი ოსმალეთი მოთესილია მაჰმადიან ქართველობით, რომელთა ბინადრობა და კულტურული თუ ნივთიერი მდგომარეობა უმეტეს ნაწილათ ჩვენთვის უცნობია, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციული მუშაობა არ გვიწარმოებია. კილიკიის ფერდობებს თუ ბრუსის ვილაეთში, სირიის თავსა (ციოლესირია) თუ სივასის მიდამოებში, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ, თვით კონსტანტინოპოლსა და მის არე-მარეში, მარმარილოს ზღვის აზიის ნაპირებზე—,ყველგან ჩადგმულია ქართული სოფლები, სადაც ქართულათ ლაპარაკობენ და ქართულ ზნე-ჩვეულებას მტკიცეთ ინახავენ.

განა ჩვენი მოვალეობა არ არის დაწვრილებით გავეცნოთ ამ ქართველთა მდგომარეობას, რომელთა რიცხვი ზოგიერთების ცნობით ნახევარ მილიონამდე აღწევს, ხოლო მეორეთა სამასს ათასს აღემატება და რომლებიც სულ ორიოდე წლის წინ ერთ კილიკიელ ქართველ სოფლელის პირით ითხოვდა, „გააგებინეთ ქართველებს, რომ ჩვენ აქ ვცხოვრობთ და მათი ნახვა გვსურსო"? სხვა სახელმწიფონი თავიანთ „კოლონისტების" ბედით მისთვის არიან დაინტერესებული, რომ ისარგებლონ მათი არსებობით მატერიალურათ თუ პოლიტიკურათ. თუ ამ მხრივ არ შეგვეძლება უცხოეთში დაბინავებულ ქართველობის გამოყენება, უნდა ვეცადოთ მათ გამოყენებას კულტურულის მიზნებით. ჩვენ დაინტერესებული ვართ მითაც, რომ სახელმწიფოთა არსებულ ურთიერთობის შესაძლებელ ცვლილებებს მომზადებული დავხვდეთ. ჩვენში უცხოელთა ბინადრობის საკითხი ჩვენთვის მარტივია, მაგრამ იგივე საკითხი უნდა იყოს გადაჭრილი უცხოეთში მობინადრე იმ ქართველების შესახებ, რომელთა მდგომარეობა ნებითია თუ ნაძალადევი ჯერ სრულიათ გაურკვეველია. განსაკუთრებულ კომისიის გაგზავნა ოსმალეთში მყოფ ქართველთა მდგომარეობის შესასწავლათ, მათი კულტურული და უფლებრივი მდგომარეობის ანგარიშის შესადგენათ და შემდგომ მათი ეროვნული და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა.

აგეთივეა ქართველობის მდგომარეობა თვით ჩვენთან კეთილ განწყობილ სპარსეთში. იქაურ ქართველობის წარმომადგენელნი რამოდენჯერმე გვეწვივნენ კიდეც. იქაც ქართველობა გაბნეულა და საჭიროა მათი მდგომარეობის შესწავლა. საჭიროა იქაც განსაკუთრებულ კომისიის გაგზავნა და დაწვრილებითი ანგარიშების შედგენა, რომ არ ვიყოთ დამოკიდებული შემთხვევით მოწოდებულ ცნობებზე რომელიმე უცხოელ მოგზაურისა. უკანასკნელთა მიხედვით სპარსეთში ყოველ შემთხვევაში ორას ათასამდეა. შეიძ-

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის ხაზინამ საფრანგეთს 50 მილიონი დოლარი მისცა სესხად.

მიუნხენში საყოველთაო გაფიცვა შეწყდა.

სევასტოპოლის დროებითი ზავი გაგრძელდება.

2 მაისს პეტროგრადში პროლეტარიატის კონფერენცია შესდგება.

ორენბურგის რაიონში ბოლბევიკებს ხელთ ჩაუვარდნიათ ყაზახთა რაზმი.

დანციგი პოლონეთის საბაჟო კავშირში შედის.

პეჩორის ფრონტზე წითელმა ჯარმა შეტევა დაიწყო.

ლება ეგ ციფრი ძალზე გადაჭარბებული იყოს, როგორც თანამედროვე მოგზაურთ სჩვევიათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში რაოდენობა სპარსეთ-ოსმალეთში მობინადრე ქართველობისა ისეთი დიდია, რომ მისი უყურადღებოთ დატოვება ყოვლად შეუძლებელია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უცხოეთში საუკუნოებით გადახვეწილი ქართველობა რა გინდ ცუდს პირობებში უნდა ყოფილიყო პირველ ხანებში, იგი ეხლა უკვე შეჩვეულა თავის „ახალ სამშობლოს“. ქართველს არ სჩვევია არც ღალატი და არც ორგულობა არა თუ სამშობლოისა არამედ უბრალო მასპინძლისაც. ჩვენ სახეში გვაქვს მეორე გარემოებაც: კეთილ მეზობლური განწყობილების დაცვა ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ლოიალობა მათდამი. სწორეთ ამისათვის პოლიტიკურ პერსპექტივებს ჩვენ ყველგან და ყოველთვის ვერ დავისახავთ. ჩვენი მოქმედება დროსა და გარემოებას უნდა შეეფარდოს, მხოლოთ მაშინ ექნება მას რაიმე ნაყოფი. ამისათვის ხსენებულ კომისიებს უმთავრესათ კულტურული მისია უნდა დაეკისროს.

ტიტე მარგველაშვილი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის კონფერენცია

აპრილის 27. საგგრეო საქმეთა სამინისტროს შენობაში შესდგა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის პირველი სხდომა, რომელსაც დაესწრენ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები ე. ჰ. გეგეჭკორის, ტიგრანიანის და ხან-ხოისკის მეთაურობით. მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელნი ჯერ არ ჩამოსულან. სხდომა 11 ს. 45 წ. გახსნა ე. ჰ. გეგეჭკორმა, რომელიც საქართველოს მთავრობის სახელით კონფერენციას მიესალმა და იმედი გამოსთქვა, რომ უაღრესათ რთულ პასუხისაგებ დროში მოწვეული ამიერ-კავკასიის კონფერენცია შესძლებს ი დგეს მხარის ძირითად საარსებო ინტერესების სიმართლეზე და ამიერ-კავკასიის ხალხთა მიზნების საერთო სახელს მოუპოვებს. ტიგრანიანი კონფერენციას მიესალმა სომხეთის მთავრობის სახელით და გამოსთქვა რწმენა, რომ ამიერ-კავკასიის ერები, რომელნიც დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც მთლიან სახელმწიფოებრივობის ფარგლებში სცხოვრობდენ და რუსეთის წასვლის შემდეგ დაიშალენ, ეხლა შინაურ გაერთიანების გზაზე დადგებიან, რაც გამოწვეულია არა გარედან ძალდატანებით, არამედ ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერესების მთლიანობის შეგნებით. ხან-ხოისკი მიესალმა კონფერენციას და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის მთავრობა ყოველთვის იდგა ამიერ-კავკასიის ხალხთა გაერთიანების საფუძველზე, რადგან ისინი არიან შეკავშირებულნი საერთო ინტერესებით და იმედი გამოსთქვა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პირდაპირი ურთიერთობა შესაძლებელს გახდის ვიწრო ეგოისტურ მისწრაფებებზე ხელის აღებას და საერთო მიზნების სიმაღლეზე დადგომას.

ურთიერთ მისალმების შემდეგ განიხილეს და დაამტკიცეს ნაკაზის პროექტი. ნაკაზის ძალით ჯერჯერობით უნდა გასწიონ თავმჯდომარეობა თითო დელეგაციისაგან: გეგეჭკორმა, ტიგრანიანმა და ხან-ხოისკიმ. მუშაობის წესრიგის პროექტი კონფერენციის პრეზიდიუმს გადაეცა წინასწარ განსახილველათ და შემდეგ გადაეცემა მომავალ სხდომას.

ოსთა ეროვნულ საბჭოს წინააღმდეგ

(შინაგან საქმეთა სამინისტროსგან)

ოფიციალურად. შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსულ ცნობებით სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს, რომელიც გორის მაზრის ს. ცხინვალში, ბოლო ხნის მოქმედება აღემატება მის კომპეტენციას და საქართველოს რესპუბლიკის საერთო მათრველობის საქმეს ეხება, მაგალითად საბჭომ თავისი ნებით გადააყენა საქართველოს მთავრობის მიერ ჯავის კომისრად დანიშნული მცხოვრებოვი, მოაწყო ეკლესიის მრევლები, ცხინვალის რაიონში ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის შესახებ სამხედრო უწყების განკარგულებანი გააუქმა, დამფუძნებელ კრების არჩევნების წარმოებას ხელს უშლიდა და სხვა. ყველა ამის გამო და რადგანაც, იმავე ცნობების თანახმათ, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო წევრთა ახალ არჩევნებს ახდენს ოთხფორმულიან საარჩევნო წესით იმ აშკარა მიზნით, რომ ამ დაწესებულებას მისცეს ხასიათი საჯარო ორგანიზაციისა, რომელმაც საქართველოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთის იურიდიულ-უფლებრივი მდგომარეობა უნდა გაარკვიოს. სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს ასეთი მოქმედება კი რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების უფლებათა დარღვევათ უნდა ჩაითვალოს, მთავრობა მოვალეთ სთვლის თავის თავს განაცხადოს, რომ ის იძულებულია შესაფერი ზომები მიიღოს ოსთა ეროვნულ საბჭოს ასეთ მოქმედების შესაწყვეტად. ამ საქმის შესახებ სათანადო დირექტივები ამასთანავე ერთათ ეძლევა გორის მაზრის კომისარს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერ

ჭიჭინაძე.

მთავრობის წრეებში

24 აპრილს სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

60.000 მან. დუშეთის ერობას.

მიეცეს დუშეთის ერობას 60,000 მ. 10 მილიონ. ფონდიდან, მაზრის მილიციის და ადმინისტრაციის წარსული წლის ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.

ინჟ. ფონდოევის საწყობში მყოფ ქონების შესახებ.

დამტკიცებულ და დმუყონებლივ სისრულეში იქმნას მოყვანილი საუწყებათა-შორისო კომისიის ყველა დადგენილებანი ინჟ. ფონდოევის ქონების გამოყენების შესახებ, როგორც ამ ქონების შეფასების, აგრეთვე მისი სხვა და სხვა უწყებათათვის განაწილების შესახებ.

აღნიშნულ დადგენილებათა პრაქტიკულად განსახორციელებლად სათანადო წესის დამყარება აგრეთვე ყველა ფუნქციებით დაკავშირებული საწყობიდან დაინტერესებულ უწყებათა თვის საქონლის გაცემასთან, მათგან. სათანადო თანხის გაღება, მისი ინჟ ფონდოევისათვის გადაცემა და საერთოდ ყოველივე მოქმედება, გამოწვეული საუწყებათა შორისო კომისიის დადგენილებათა პრაქტიკულად განხორციელების დროს დაეკისროს მიწათ-მოქმედების სამინისტროს მომარიგების კომიტეტის სახით.

ქრონიკა

დასახიჩრებულ რუს ქვეშევრდომთა კავშირი, თბილისში დაარსდა დასახიჩრებულ რუს ქვეშევრდომთა კავშირი რომელიც იმყოფება მიხეილის პროსპექტზე. კავშირის საჰატიო თავმჯდომარედ არჩეულია ბ. ტოროშელიძე. კავშირმა მიიღო შეწირულებანი. ბიჩერახოვისაგან 50,000 მ. დენიკინისგან 80,000 მ.

რესპუბლიკის სამხედრო ძალის ორგანიზაციისათვის. დამფუძნებელ კრების სამხედრო კომისიაში ირჩევა საკითხი რესპუბლიკის სამხედრო ძალის ორგანიზაციის მოწყობის შესახებ წარმოდგენილია ორი პროექტი: ერთი სამხედრო სამინისტროს მიერ, მეორე კი სახალხო გვარდიის მიერ.

საქართ. ხავაჭრო-სამრეწველო პალატა. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა დაამტკიცა საქარ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის არჩევნები. პალატის პირველი ყრილობა დაინიშნა ქ. თბილისში 4 მაისს, დილის 11 საათზე. ყრილობას გახსნის ბატონი ფინანსთა მინისტრი.

სომხეთის დელეგაციის მრჩეველის ჩამოსვლა. გუშინ ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა სომხეთის საბჭოს წევრი ნ. აღაბალიანი, რომელიც დანიშნულია სომხეთის დელეგაციის მრჩევლად.

სასწავლებელთა რევიზია. სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით ამ მოკლე ხანში მოხდება თბილისის ყველა საშუალო სასწავლებელთა რევიზია.

ფრანგული კლუბის გახსნა დღეს განოვის ქუჩაზე თუმანოვის სახლში გაიხსნება ფრანგული კლუბი.

რაფ. ჩიხლაძის გარდაცვალება, კვირას 27 აპრილს თბილისში წინწკლებიანი ავადმყოფობით გარდაიცვალა საქარ. დამფუძნებელი კრების წევრი რ. ჩიხლაძე.

სამხედრო საბარგო ავტომობილზე თავდასხმა, 25 აპრილს ღამით სოფელ მეჯვრის-ხევის ახლოს მომავალ სამხედრო-სახელმწიფო ავტომობილს, ტყიდან უეცრივ სროლა აუტეხეს. მოჰკლეს ზედ მყოფი პოლკ. გ. ჩიკვაიძე და შოფერი. დასჭრეს რამოდენიმე ჯარის-კაცი.

აღმოსავლეთ საქართ. სახ. სკოლების კავშირის გამგეობის კრება. ოთხშაბათს, 30 აპრილს, საღამოს 7 საათზე, პირველი ვაჟთა გიმნაზიის ბინაზე დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობის, ამავე კავშირის თბილისის განყოფილების გამგეობის, აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სკოლების კავშირის მთავარი გამგეობის და დამფუძნებელი კრების განათლების კომისიის შეერთებული კრება. განსახილველია: სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატთა ყრილობის დებულება. დასწრება აუცილებელია.

ფრანგულ ენის მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა უკვე დაამთავრა ქართულ სასწავლებლებისათვის ფრანგულ ენის სახელმძღვანელო და ამ დღეებში შეუდგება მისს ბეჭდვას.

სხვა და სხვა ამბები.

დაჭრა. 27 აპრილს, დილის 10 ნახევ. საათზე, ოლღას ქუჩაზე ოფიცერ ლოლობერიძემ ხმლით დასჭრა ინგლისელი ჯარისკაცი. ლოლობერიძე დაატუსაღეს.

თავდასხმა. 27 აპრილს, საღამოს 7 ს. სასტუმრო „ზავში“ (ვაგზლის ქუჩა) შეეჭრნენ რამდენიმე შეიარაღებული პირნი და სასტუმროში მცხოვრებთ წაართვეს დაახლოვებით 27000 მან. და მიიმალნენ. ეჭვით დააპატიმრეს ჩიხლაძე, ქღინტი და ბაქრაძე.

ქურდობა. 27 აპრილს, დილის 5 ს., სეილანოვების თამბაქოს სავაჭროდან (ელისავეტისა და ბატარეიის ქ.) მოსახვევი) ბოროტგანმზრახველებმა 11 ყუთი პაპიროსი, 86,310 მან. ღირებული მოიპარეს. ეჭვით დააპატიმრეს 5 მუშა.

27 აპრილს, ღამე ინჟ. ტერ მიქელოვის ბინიდან (ოლღას ქუჩა № 49) 50,000 მან. სხვა და სხვა ნივთები მოიპარეს. ეჭვით დაიჭირეს ტერ-მიქელოვის მოსამსახურე და მისი ძმა.

მარცხი. 26 აპრილს, დღის 4 ს., ვორონცოვის ქუჩაზე საბარგო ავტომობილი დაეჯახა 13 წლის ბავშვი ა. აკოპოვს, რომელიც იქვე გარდაცვალა.

პარტიული ცხოვრება

ეროვნ. დემოკრატ. ქალთა საზოგადო კრება დანიშნულია პარასკევს 2 მაისს სამეურნეო ბანკის შენობაში (სასახლის ქუჩა სარაჯიშვილის სახლი) საღამოსას 7 საათზე კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

სამხატვრო ქრონიკა

სახელმწიფო თეატრი. დღეს, მ. დავდოვის მონაწილეობით—„კარმენი“. ოთხშაბათს, 30 აპრილს გამოსათხოვარი ბენეფისი ტ. საბანეევასი—„M-me ბატტერფლეი“. ხუთშაბათს, 1 მაისს სადღესასწაულო Gala წარმოდგენა „სევილიელი დალაქი“ და აპოთეოზი; შაბათს, ნ. ტაბენცკის ბენეფისი „მშვენიერი ელენე“.

—

არტისტიულ საზ-ბი თეატრი. ხვალ იმართება შინაური საღამო „მხატვრული მინიატიურები“; ხუთშაბათს—„ლურჯი ფრინველი“; კვირას, 4 მაისს დილით, ბიჩერ-სტოუს რომანი „ბიძია ტომას ქოხი“ 6 სურათად.

პროვინციის ცხოვრება

ს. მცხეთა.

დღე არ გავა რომ სამხედრო გზაზე მგზავრები არ გასძარცვონ. მცხეთის არემარეში 30-ამდე ყაჩაღი თარეშობს.

ს. მეჯვრისხევი.

მეჯვრისხევის გზაზე ავაზაკებმა მოჰკლეს პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩიკოიძე და მასთან სამი ჯარისკაცი.

ს. ახრისი.

გორის მაზრაში ყაჩაღებიხ თარეშია. თავდასხმა და მკვლელობა თითქმის ყოველ დღე ჰხდება. ახრისში ამოწყვიტეს გლეხ გელეიშვილების ოჯახი.

ს. წყნეთი.

წყნეთის მახლობლად და თბილისის გარშემო დიდი სეტყვა მოვიდა.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კონგრეს ბედი.

მიწათ-მოქმედების მინისტმა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას შემდეგი შინაარსის მიწერილობა გაუგზავნა:

მიწის ნაკერი 6 ნახ. დესეტინა რომელიც მუშტაიდის ბაღთან ძევს რომელიც ეკუთვნის თბილისის საბალოსნო სკოლას და აგრეთვე სახაზინო მიწა 273 ოთხკუთხი საჟენი სახლით ალექსანდრეს სახელობის ბაღში ეკუთვნის ხაზინას და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება მხოლოდ დროებით სარგებლობს ხსენებულ ქონებით.

ახლა კი მიწად-მოქმედების სამინისტროს სურს გამოიყენოს სახელმწიფოს სასარგებლოდ ხსენებული მამული წინადადებას გაძლევს თქვენ გასწმინდოთ ხსენებული მიწები, დღიდან ამ მოწერილობის მიღებისა ორი კვირის განმავლობაში.

წინაალმდეგ შემთხვევაში სამინისტრო იძულებული იქნება სათანადო ზომები მიიღოს.

ღონი

(წერ. საკ. კორეს.).

მდინარე კალმუსი საღვარია დღევანდელ სამეფოთა უკრაინის და დონისა ჩვენ სული მოვაგდეთ სადგურ კუტეინიკოვოზე. კუტეინიკოვოდან რკინის გზა პირდაპირ მიდის ტაგანროგზე და დონის როსტოვზე. სადგური მოხალისეთა ჯარით არის სავსე. აქ არის გენ. შკურო, ქართველები არც აქ ვგრძნობთ თავს სამშვიდობოზე სადგურის კედლებზე დიდი ასოებით ჰსწერია: „აფხაზეთში აჯანყებას ელიან მოხალისეთა ლაშქარს, ახალციხე ჩვენსკენ არის, ქართულ სოფლებში ყველგან რუსების რეჟიმი მოითხოვეს“.

გერმანეთ ავსტრიიდან მომავალი სამხედრო ტყვეები, რომელიც საბჭოთა უკრაინიდან წამოიყვანა ბ-ნმა მაზანოვმა უკვე მისულან კომენდანტთან და უთხოვიათ ვაგონი როსტოვისკენ, კომენდანტი დათანხმებულა.

პლათფორმაზე ვდგევართ, ყაზახებმა გამოატარეს გაშიშვლებული ძალზე ნაცემი კაცი, რომელსაც ზურგზე ერთი „ზ.“ ჰქონდა ხანჯლის წვერით ამოჭრილი, კონდუქტორმა ჩუმად გვითხრა: „ეგ საბრალო ბოლშევიკია, მაგას წამებას დაუწყებენო. ჩვენთან მოიჭრა ერთი პოლკოვნიკი და შეგვეკითხა: „ქართველები ხართ“? დიახ!..

— ქართველები ვერ წახვალთ; თქვენთან ომია თქვენ რომ არიყოთ იქ სოჭში იმდენ ჯარს არ დავაბანდებდით და ბოლშევიკებს მალე ბოლოს მოუღებდით...

სოჭიდან გამოქცეულებს ეცინებათ, სოჭაში სულ მოიყვანეს 20 მარტამდე 500 ყაზახი და ათეულიანი რაზმები სხვა და სხვა ველურ ნაწილებისგან. საერთოდ ქართველები დაღონებული ვართ ბოლშევიკების შემდგომ ამათგან ველით ტანჯვა წვალებას.

ბ-ნი მაზმანოვი მიჰმართავს პოლკოვნიკს და ეუბნება: „თქვენ შეეკითხეთ შტაბს და უკიდურეს შემთხვევაში ინგლისის მისიას, სოჭის საკითხი შარშან ნოემბერში აღიძრა და მას ომი არ გამოუწვევია, თქვენ სწორი ცნობები არ უნდა გქონდეთ, 8 და 9 წელიწადია ეგ ჯარისკაცები სახლში არ ყოფილან და ახლა აქ რომ დაიჭიროთ უაღრესი უსამართლობა იქნება: „ქართველებს ვერ გაუშვებთ. სომხები წავიდენ თუ ძალიან გწადიათ შტაბს შეეკითხებით“... იყო პასუხი პოლკოვნიკისგან.

ველოდებით შტაბის პასუხს, გავიდა ორი ჯავშნიანი მატარებელი შენ „კორნილოვი“ „კალედინი“ შიგ ვიცანით თბილელი ოფიცერი კოსტ. ჭაკუავაძე, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, ტყვეები იძახიან: „ქართველს აქ რა უნდაო. საღამოს 6 საათი იქნება, კომენდანტმა ყველანი ერთად მოგვაგროვა, ვაგონი მოგვცა და როსტოვისკენ გაგვიშვა... გვიკვირს, ჩვენ იმედი გადავიწყვიტეთ თავი მოხალისეების ტყვეებათ ჩავთვალეთ... მეორე დილით როსტოვში ვართ. საქართველოს კონსული ბ. ქინქლაძე ქალაქდებს გვაძლევს და გვარწმუნებს, რომ ჩვენ ახლა არსად დაგვაკავებენ. ტყვეები იმ საღამოთი წავიდენ ეკატერინოდარში იქიდან კი კავკავში სამხედრო გზით საქართველოსკენ. ერთ რესტორანში ვსადილობთ, ჩვენს პირდაპირ სხედან დენიკინის ოფიცრები უკვე მთვრალები ხანში შესული პოლკოვნიკი ამბობს. „მთელ ხალხთან ანგარიშის გასწორება არც ისე ადვილია, როგორც ეს ყუბანის ყაზახებს ჰგონიათ, ჩეჩნები ისე ადვილად არ დასთმობენ პროვინციალურ თავისუფლებას, მას შემდგომ რაც დონის ყაზახობა ნეიტრალური გახდა, ჩვენი ძალა შესუსტდა, თქვენ ხედავთ რომ მობილიზაცია არსად არაფერს არ გვაძლევს, ჯარში გაწვეულებს პოზიციებზე ვერ ვგზავნით, რადგან საფუძვლიანად გვეშინია მათი გუნდ-გუნდათ ბოლშევიკებისკენ გადასვლის... ჯარისკაცები დეზერტირობენ... და მათთან ერთად რუსის მეომრის სახელის შესარცხვენლად მასიური ხასიათი მიიღო დეზერტირობამ.

ოფიცრობაში... ფრონტზე არავინ იცდის, ფულს მიიღებენ და მერე საქეიფოდ იპარებიან. დენიკინის განკარგულებაში ჟამსა განკითხვისასა თავის მოყრა შეუძლია მხოლოდ 60,000 მეომარს და როგორც ამას წინად გენ. დრაგომიროვს უთხარი ამ ჯარით ყოვლად წარმოუდგენელია თერგის, დონის, ყუბანის დაცვა და ამავე დროს სამ ოთხ ფრონტზე ომის წარმოება!.. ღვინო დაასხეს!.. ახალგაზრდა ოფიცერი ღიმილით სვამს და წარმოსთქვამს: „და ზდრავსტუეტ პეჩატნი სტანოკ“... აი, სწორედ ამას გაიძახის დღეს ჩვენი აფიცრობა, ამბობს პოლკოვნიკი. ჩვენ გაფაციცებით უგდებთ ყველაფერს ყურს.—საიდუმლოება არ არის, რომ უკრაინიდან ბოლშევიკებს ჩვენს წინააღმდეგ დიდძალი ჯარი მოჰყავთ, დავკარგეთ ოდესა, მოგვშორდენ ფრანგები, მიგვატოვებენ ინგლისელები, რადგან მათ ჩვენში საქმის ხალხი ვერ დაინახეს... შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს მეთაურებს ისეთივე თვითმკვლელობა დასჭირდებათ, როგორიც შარშან გენ. კალედინს... შუაში, ვემწყვდევით, უკან დასახევი გზაც არ რჩება, ქართველები არ მიგვიღებენ, იმათ კარი გაუღეს მხოლოდ ბოლშევიკებს, 3,000 ბოლშევიკს თავშესაფარისთვის 15 მილიონი ნიკოლოზის ფული გამოართვეს დიდძალი იარაღით და ახლა ხსენებულ ბოლშევიკებს სოჭის ფრონტზე ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ, ქართველებიც საშიშია ჩვენთვის, მაგენი მთიელებს მეთაურობენ ჩეჩნების აჯანყება მაგათი საქმეა, ცნობა იყო ჩეჩნებს ფული ქართველებმა მისცა. ერთგული აღარავინ დაგვრჩა, ძველი პატრიოტიზმი მკვდარია, რუსეთი არ დაიღუპებოდა იმ შემთხვევაში, რომ 1917 წ. დიდ მთავარს ტახტი მიეღო და ქვეყანა მყვირალების ხელში არ ჩაეგდო... დღეს ყველგან ორპირობაა, ერთ დროს ყუბანის მთავრობა ჩვენ მოხალისეთა ჯარს თავს გვიკრავდა. დღეს ჩვენს წინააღმდეგ არის ამხედრებული. რუსეთის ბედი პეტერბურგ მოსკოვში გადასწყდა და ახლა კავკასიიდან ძლიერ ერთიან რუსეთის აღდგენა ფრიად საძნელია. გაუმარჯოს ჩვენს ოფიცრობას!“ სვამენ სადღეგრძელოს. უკვე 7 საათია. ჩვენ მივდივართ, ფული მივეცით, კარებთან ვართ, უცებ წამოგვეწია ერთი ოფიცერი გაგვაჩერა და გვეკითხება: თქვენ ვინა ხართ, თქვენი მოწმობები? ვაჩვენეთ, სომხები ხართ? შეგიძლიათ წახვიდეთ... ქუჩებში მეტად მდიდარი ხალხი დასეირნობს, ბოლშევიკურ რუსეთიდან აქეთ გამოქცეულან ყველა კაპიტალისტები. ჩვენ გადავსწყვიტეთ ნოვოროსიისკში წასვლა და იქიდან გემით ფოთში. სადგურზე ჟანდარმები მიდი მოდიან და საეჭვო პირებს მოწმობებს სთხოვენ. 4 საათის ლოდინის მერე მატარებელი ჩამოდგა. ჩავსხედით და მოვშორდით როსტოვს.

ირ. დი.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

27 აპრილი.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. 26 აპრ. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. სამხედრო ცნობა. ორენბურგის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით 5 ვერსით უკან დაიხია. ბუზულუკთან ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგე გაიქცა. ჩვენ ხელში დაგვრჩა 200 ტყვე 4 ზარბაზანი მრავალი ტყვიის მფრქვეველი [illegible] მოწინააღმდეგის საღვინეს [illegible] ბუგურუსლანის რაზმი გაიგზავნა, ბუგურუსლანის რაიონში მდინარესთან ჩვენ შეტევას განვაგრძნობთ. ბუგურუსლანის მიმართულებით, ჩვენმა ჯარმა სად. შენდეელის ხაზზე დაიხია. მისტოპოლის აღმოსავლეთით ბრძოლაა ელაბუგის რაიონში მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ.

სამარა. 25 აპრილი. ორენბურგის რაიონში ჩვენ დაგვნებდა ყაზახთა რაზმი. ჩრდილოეთით ჩვენ დავიჭირეთ სოფ. ნიკულინო. აქ მოწინააღმდეგე დავამარცხეთ და გავაქციეთ.

ვორენეჟი. 25 აპრ. მედიკო-სანიტარულმა განყოფილებამ დაიწყო კბილის საექიმო კაბინეტების ნაციონალიზაცია. ქალაქ ალექსეევკაში გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი.

ნიჟნი ნოვგოროდი. აპრ. 25. ოკა დაიწმინდა ყინულისაგან. წითელი ფლოტი საუცხოო მდგომარეობაშია.

ლიონი. აპრ. 25. პოლონელების მოთხოვნას შედეგათ მოყვა მრავალი დათმობანი: ქალ. დანციგი შევა პოლონეთის საბაჟო კავშირში. პოლონეთი ისარგებლებს დანციგის ნავებით და სატრანსპორტო საწყობებით. გერმანიას ნება ეძნება თავისუფლათ გავიდეს აღმოსავლეთ პრუსიაში.

პსკოვი. აპრ. 25. პეჩორის რაიონში თეთრებმა შემოტევა შესწყვიტეს. ჩვენი მარიენბურგის რაზმი წინ მიიწევს.

სამარა. აპრ. 25. ყაზახები ორენბურგის მიმართულებით წითელ ჯართან ერთად იცავენ საბჭოთა მთავრობას.

გომელი. აპრ. 25. აღმ. კომიტეტის მიერ გამოცხადებული თავისუფალი ვაჭრობა, სპეკულიაციის გამო გაუქმებულია.

№-ს არმიის შტაბი. მრავალ რიცხოვან მიტინგზე, რომელიც ტროიკის პატივსაცემლად გაიმართა, აღფრთოვანებით მიიღეს ტროიკის წინადადება. საბჭოთა მთავრობას კოლჩაკთა ბრძოლაში დახმარების შესახებ.

მოსკოვი. აპრ. 26. ტვერში მიტინგები გაიმართა. ტვერის სამექანიკო განყოფილების (?) მენშევიკების, ესერების და უპარტიოთა წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ამ ჟამად ყველას შეიარაღება აუცილებელია.

მოსკოვი. ბუზულუკის რაიონი: მოწინააღმდეგის იერიშები ბუზულუკის ჩრდილო-აღმოსავლეთით კონტრიერიშებით მოვიგერიეთ. ბუგურუსლინის რაიონი: ჩვენი შეტევა ბუგურუსლანის რკინის გზის ორივე მხარეზე გრძელდება. სერგიევის რაიონი: ჩვენმა ჯარმა სერგიევისკენ დაიხია. ბუგულმის რაიონი: ჩვენ სად. შანტანი დავიბრუნეთ. ჩისტოპოლის რაიონი: ჩვენმა ჯარმა ჩისტოპოლი დასტოვა და 10-15 ვერსით ჩრდილოეთით დაიხია. ელაბუგის რაიონი: ელაბუგის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე დროგამოშვებით ბრძოლა და მზვერავები მოქმედებენ.

პსკოვი. აპრ. 25. პეჩორის ფრონტზე წითელმა ჯარმა შეტევა დაიწყო დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ თეთრები შეავიწროვეს და პვაშინის მთიდან გადევნეს.

პარიზი. აპრ. 25. ამერიკის ხაზინა საფრანგეთს მისცა სესხად 50 მილიონი დოლარი, რუმინიას 6 მილიონი.

პარიზი. აპრ. 26. ფრანგული პრესა დარწმუნებულია: ადრიატიის ზღვა ნაპირების საკითხი ისე გადაწყდება, რომ ყველა ის სახელმწიფოები, რ[illegible] მელნიც დაინტერესებული არიან, კ[illegible] ყოფილი დარჩება. სონინო და სალ[illegible] დრა დღეს პარიზიდან წავლენ... (დ[illegible] მახინჯებულია). მათი წასვლით მდგ[illegible] მარეობა გაუარესდება, რადგან [illegible] იციან იქნება თუ არა პარასკევს [illegible] ზავო სხდომაზე იტალია დაშვებულ[illegible] როდესაც მიიღებენ საბოლოო გ[illegible] წყვეტილებას. (დამახინჯებულია).

ავერმანი. აპრ. 25. სევასტოპოლ[illegible] დროებითი ზავი გაგრძელდება. [illegible] რანგეთის პოლკოვნიკ ტრუსენმა [illegible] ნაცხადა, რომ დროებითი ზავის [illegible] ლოს მოკავშირენი ქალაქს დასცლ[illegible]

პსკოვი აპრ. 25 დაარსდა ქალ[illegible] საბჭოს მუშათა და გლეხთა დ[illegible] ტებისაგან. პირველ სხდომაზე გ[illegible] ტანეს რეზოლიუცია, რომელიც მ[illegible] ხოვს, რომ მთელი ძალა მოიბ[illegible] საბჭოთა რუსეთის მტერებთან [illegible] კოლჩაკთან ბრძოლას.

მოსკოვი. აპრილის 27. ჩრდილ[illegible] დონეცის შესართავავთ ბრძოლა[illegible] ხორეცკის და ველიკოკნიაკის მ[illegible] თულებით ჩვენმა ნაწილებმა მ[illegible] აღმდეგის იერიშები მოიგერიეს [illegible] მანიჩზე გადასასვლელი ადგილებ[illegible] იჭირეს. ტყვეთ ჩაგვივარდა 26[illegible] ცზე მეტი, 6 ზარბაზანი და მრ[illegible] სამხედრო დავლა. აღმოსავ[illegible] ფრონტი. ურალის რაიონი: [illegible] ფრონტზე ბრძოლა გრძელდება.

პეტერბურგი. აპრ. 26. 2 მაისს შესდგება მთელი გუბერნიის პროლეტარიატის კონფერეეცია, რომელსაც პეტერბურგის პროფესონალურ კავშირების საბჭო მოიწვევს, იმის გამოსარკვევათ, თუ რა უნდა გააკეთოს პეტერბურგის პროლეტარიატმა კოლჩაკთან ბრძოლის საქმეში. უკანასკნელ დღეებში ფინლიანდიით მოვიდა 2000 სამხედრო ტყვე, რომელიც გერმანიიდან გამოქცეულა. მოსულებმა გადასწყვიტეს წითელ არმიაში ჩაეწერონ კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველად,

მოკოვი აპრ. 26 ჩრდილოეთ გუბერნიების მცხოვრებთა სურსათის მხრით მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლათ, იმ ადგილებში, სადაც თეთრგვარდიელებმა დაიაზარალეს, სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა მიწათმოქმედების სახალხო კომისარს, რომ ჩრდილოეთის გუბერნიიდან მცხოვრებნი დონის ოლქის სამ გუბერნიაში გადაასახლონ დასასახლებლათ და გადასახლებულთ დროებითი სამუშაო მისცენ საბჭოთა მთავრობის მიერ სამხრეთში მოწყობილ მეუნეობაში ხარჯების დასაფარებლათ მიწათ მოქმედების სახალხო კომისარის განკარგულებაში გადაიდო 10 მილიონი მანეთი. მოსკოვის საბჭოს სახალხო განათლების სოციალურ სწავლა განათლების სექციამ გამოაცხადა კონკურსი საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსის სურათების შესადგენათ.

გერმანული პრესა

გალერის არმია პოლონეთში.

პოლონეთში უკვე მოვიდა გალერის არმიის 10,000 ჯარის კაცი, რომელიც პირველ დივიზიას შეადგენს და საფრანგეთიდან მოდის ფრანგი გენ. დიუპონის სარდლობით. ამ დივიზიაში შედის პოლონელ მსროლელთა პოლკი. არტილერია და კავალერია. ბატალიონის უფროსიდან დაწყებული ყველა ოფიცრები ფრანგებია. ჯარას კაცები 20—30 წ. არიან. იარაღი კარგი აქვთ. მათ თან მოსდევთ დიდძალი ავტომობილები. გენ. გალერიც უკვე პოლონეთშია, მის შტაბში 5 ფრანგი გენერალია. ჯარი მიყავთ ვარშავაში, საიდანაც, ალბათ, აღმოსავლეთისაკენ გაგზავნიან უკრაინის ფრონტზე.

გერმანულ ავსტრიის ხაკომპენსაციო ხელშეკრულობა.

გერმანულ ავსტრიის მთავრობამ საკომპენსაციო ხელშეკრულება დასდო სამხრეთ სლავიანსა, დასავლეთ უკრაინასა, რუმინიასა და უნგრეთთან. დასავლეთ უკრაინასთან დადებულ ხელშეკრულების ძალით მომავალში და სავლეთმა უკრაინამ ავსტრია-უნგრეთს შეღავათიან პირობებში, უნდა მიაწოდოს მინერალური მასალები. ხელშეკრულების ძალით რუმინიამ პირველ ხანებში 6000 ტონა მინერალური მასალა უნდა გადასცეს ავსტრია-უნგრეთს, შემდეგ 14,000 ტონა კიდევ. სამაგიეროთ გერმანულმა ავსტრიამ ერთნაირ ფასებში უნდა მიაწოდოს მათ ქარხნის ნაწარმოებანი უმთავრესად, რკინის გზის მასალა.

გერმანიის საზავო დელეგაცია.

გერმანიის ცენტრალურ მთავრობის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ გერმანიის საზავო დელეგაციას 15 პრესის წარმომადგენელი გაყვეს თან. ისინი დელეგატებთან ერთად ორშაბათს გაემგზავრებიან პარიზში. დელეგაციის საგანგებო მატარებელი ბერლინიდან გავა ორშაბათს ნაშუადღევს და ვერსალში სამშაბათს საღამოთი მივა.

100 მილიონი მარკის ახალი ფული.

ბავარიის კომუნისტებმა გადასწყვიტეს ფულის სიმცირის გამო 100 მილიონი მარკის ახალი ქაღალდის ფული გამოუშვან. რადგანაც ბავარიის სახელმწიფო ბანკის საკრედიტო ბილეთების ოტისკი დროზე იქნა გატანილი ბავარიიდან, მიუნქენის აღმასრულებელმა კომიტეტმა განკარგულება მოახდინა დაამზადონ ახალი ოტისკები, რომელიც სავსებით კარგი არ არის.

მიუნქენში.

მიუნქენში საერთო სულიერ დაცემისა და გარედან ძალდატანების გამო საყოველთაო გაფიცვა შესწყდა. მიუნქენში მთავრობის ერგულ მფრინავთა საშუალებით ყოველ დღე მოდის ცნობები ბამბერგიდან. მინისტრ პრეზიდენტი ჰოფმანის ორგანოს „ფრეი შტაატ“-ს მრავლათ ყრიან ჰაეროპლანებიდან მიუნქენში. მიუნქენის კომუნისტები ყოველგვარ საშუალებით სცდილობენ ხელი შეუშალონ ქალაქის გარედან მოსულ ცნობების გავრცელებას მოახლოვებულ ჰაეროპლანებს სასტიკათ უშენენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით უნაყოფოთ. ჰაეროპლანიდან ჩამოყრილ ფოსტის აკრება-სასტიკათ აღკრძალულია და გამოცხადდა, რომ სიკვდილითაც დასჯიან დამნაშავეთ. რადგანაც საჭიროება ძალიან გაიზარდა განზრახულია ბურჟუაზიის ევაკუაცია. მიუნქენის მიდამოებში იმყოფება მრავალი შეიარაღებული რუსი სამხედრო ტყვეები და უნგრეთები. წითელი არმია შესდგება 30,000 კაცისაგან, რომელნიც კარგათ არიან შეიარაღებული. ამ ჯარს იბერლეიტენანტი პარაფინი სარდლობს. კომუნისტურმა მთავრობამ ბამბერგში აუწყა, რომ თითო დაპატიმრებულ კომუნისტის მაგიერ, როგორც კი ამას შეიტყობენ, 25 ბურჟუას დააპატიმრებენ. მეორეს მხრით მინისტრ-პრეზიდენტი ჰოფმანი იმუქრება, რომ სამართალში მისცემს, რაც

პორტრეტების რვეული

(დასასრული)

7. ნაბო

— ახალი ამბავი, ახალი ამბავი, კაცო!—შეეკრა ყვირილით ერთი მოუსვენარი ახალგაზდა თავის მეგობარს კაბინეტში, მაგრამ კილოს მალე დაბლა დაუწია, როცა წამოწოლილ ადამიანის უგულოდ მაცქერალი სახე დაინახა.—რა დაგემართა ბანო?—შეეკითხა მზრუნველის კილოთი წამოწოლილს.—როდემდის უნდა გდიონ იმ ლურჯმა თვალებმა? მე ხომ ვიცი იმისაგან ხარ აგრე მოშვებული. სად არის შენი არწივისებური გადმოხედვა? რაც ხანი გადის სულ უფრო და უფრო გეკეცება მაგ შუბლზე ნაოჭები. ძირს დავარდნილ ქაღალდს დასწვდა და გადაათვალიერა. „ლურჯი თვალებიო“ ეწერა მსხვილი ასოებით. ქვევით კი მოთხრობა იყო მოთავსებული.—ლამაზია, ნაბო ეს შენი მოთხრობა.—განაგრძო გულმტკივნეულად ლაპარაკი, მაგრამ უფრო ლამაზი იქნება, თუ ეს ლურჯი თვალები შენ მოგასვენებენ.

ნაბო კედლისკენ გადაბრუნდა.

— არა, ნაბო, კი ნუ გადაბრუნდი. უთხრა მეგობარმა წყენინი, გადმობრუნდი და წამოდექი, მინდა საინტერესო გითხრა რამ. რასაკვირველია შენს მდევნელს ლურჯ თვალებთან ვერას კი გახდება, მაგრამ მაინც მომისმინე დღეს მთავარ ქუჩის ერთ დუქნის გვერდით ვიდექი. მშვენიერებაო მშვენიერება, გავიგონე გატაცებით წარმოთქმული სიტყვები. მივიხედე და დუქნის ფანჯარაში მცქერალი ჩვენი ცნობილი მხატვარი დავინახე. მე თქვენ გარწმუნებთო, მითხრა გასხივოსნებული სახით და მიმიშვირა თითი დუქანში გამოფენილ რვეულზე, მე თქვენ გარწმუნებთო,ამ პორტრეტზე რომელი ევროპიელი მხატვარიც გინდათ დიდის სიამოვნებით თავის გვარს მოაწერსო. შევიხედე ფანჯარაში და შენი სახე კი დავინახე. მართლაც და ჩინებულადაა დახატული. აი რას ნიშნავს მწერალი, ზეპირადაც კი ხატავენ იმის პორტრეტს. უნდა წამოხვიდე, ნახო.

ნაბო დაინტერესდა მეგობრის მოტანილ ცნობით. წამოდგა ზეზე და თან გაჰყვა. მეგობარი მართალს ეუბნებოდა. დუქნის ფანჯარაში რვეულში ჩახატული თავისი პორტრეტი დაინახა. რვეული ღიმილას ეკუთვნოდა შევიდა დუქანში და რვეული გადაათვალიერა. შიგ მრავალ-ჯერ განმეორებული თავისი სახე ნახა.

— უნდა ვიყიდო.—აუწყა მედუქნეს ნაბობ.

— ბატონო, მხოლოდ თქვენ თვითონ მოგიხდებათ ამის პატრონთან წაბრძანება.—მიუგო მედუქნემ. ძალიან ძვირად კი აფასებს.

— ჩემთვის სულ ერთია, უთხრა გადაწყვეტით ნაბომ, მე მაინც უნდა ვიყიდო.

მედუქნემ ნაბოს ღიმილას ოჯახის მისამართი მისცა და გაისტუმრა.

— უი გენაცვალეთ, ეს ხომ ის არის! აი ის! წამოიძახა ღიმილას დედამ რა წამსვე ნაბო დაინახა.

— მე გახლავართ მწერალი ბარნაბ, გააცნო თავისი თავი ნაბომ ღიმილას დედ-მამას. მე მინდა ის პორტრეტების რვეული შევიძინო. მე ძალიან...

— ცოტა დაბლა ილაპარაკეთ, — სთხოვა დაბალის ხმით ნაბოს ღიმილას მამამ,—თორემ ჩემი ქალი გაიღვიძებს და გაყიდვის ნებას არ მომცემს. ფული კი საჭიროა მის მოსარჩენად.

— არა, ბატონო! მოახსენა ნაბომ, თუ თვით პატრონი მხატვარი არ ინებებს, მე ისე ვერ ვიყიდო. მე ვერავის უფლებას ვერ დავარღვევ, მაჩვენეთ ვნახო.

— ლოგინში წევს, უმაწვილო! გაბუმარტა ღიმილას დედამ.

— არა, დედა! ავდექი, გაისმა ოთახიდან მისუსტებული ხმა ავადმყოფისა. მე ჩემს რვეულს ვერ გავყიდი. ჩემი არსებაა.

ღიმილა მართლა წამომდგარიყო საწოლიდან და მისი სუსტი ფეხები

საუბარი ფელეტონი

ხალხური

(ჩაწერილი გაბრიელ ლეკრუტაშვილისგან.)

ია და ვარდო, თამარო,
შენა ხარ მზე და მთვარეა,
შენა ხარ შუქურ ვარსკვლავი,
ცას შენ გაუღე კარია.

სულ დავიარე ხმელეთი,—
ფრანგეთ, მისრეთის მხარეა,
ვერავინ ვნახე სიტურფით
შენი ბადალი ქალია.

აღმოსავლეთის კეკლუცო,
ლერწამს მიგიგავს ტანია,
ცისა და ქვეყნის ჯადოხარ,
თურმე გყოლია ქმარია.

ნეტარო, თამარ, ლამაზო,
სურნელოვანო იაო,
სიტურფე და სილამაზე
მზისაგან გარდგილიაო;

მაღლა მთის ნაზო ყვავილო,
ედემს დარგულო იაო
მათ გამსგავსე სურნელობით
გული შენ წაგილიო;

ციხე ხარ, კოშკი მაღალი,
საძირკველი გაქვს რკინისა
უკვდავებისა წყარო ხარ,
მდინარე ოქროს მილითა.

ნეტავი შენსა მეუფეტელსა,
ყოველთვის მინატრიაო,
ცხრა გზით ვეწამე მე შენთვის,
ცხოვრება (ღირსება) დამითმიაო.

მოხუცებულმა რომ გაათავა ლექსი, შეეკითხე: გაბრიელ, რათ აქებს ჩვენი ხალხი თამარსა ესე უსაზღვროთ? საითაც გაიხედავ, ეს რა კოშკია?—კითხულობ; გეუბნებიან,—თამარისაო; ეს ვინ ააშენა?—თამარმა! რათა ჰყვარებია ხალხს ეს დედოფალი?

— როგორ არ უნდა ჰყვარებოდა, უმაწვილო, (მოხუცი, შედარებით თავის წლოვანობასთან, მე უმაწვილს, ან სახელს მეძახის; გაბრიელ ლეკრუტაშვილი ამ ჟამად ოთხმოცდა ხუთის წლისაა) თურმე საწყალი ხალხი ძალიან ებრალებოდა და მაშ ხალხი მას არ შეიყვარებდა!—ესა სთქვა მოხუცებულმა და ზედ ეს პატარა ამბავიც მოაბა თავის სიტყვების დასასაბუთებლად: ერთ მშვენიერ დღეს თამარმა დიდი ზეიმი გადიხადა; დაბრუნდა სასახლეში და შევიდა თავის ოთახში მოსასვენებლად; იმ დროს, რა წამსაც დედოფალი თითებიდან ბეჭდებს იძრობდა, იმის სარკმელის წინ გაიარა ერთმა ფერმიხდილმა გლახამ და თამარს ეჩვენა, თითქოს გლახამ მომდურავის თვალით შეხედა მის სასახლესაო. სანამ თამარი თითებიდან ბეჭდებს გაიხდიდა, გლახა წავიდა და მიეფარა კიდეც; გამობრძანდა თამარი და დაადევნა გლახას კაცი, მაგრამ მთხოვარი კი ვეღარ იპოვეს.

დედოფალს ძალიან ეწყინა, რომ მოწყალება ვერ გაიღო და თითების სამკაულმა კი დააკარგვინეს ამისთანა ბედნიერი წამი. მეორე დღესვე, აბძანდა თუ არა დედოფალი საწოლიდან, გეემართა ეკლესიისკენ და აქ ეს ბეჭდები მღვთის მშობელს შესწირა,—აი ესეთი კეთილი ადამიანი თურმე იყო ეს დედოფალი—დაამთავრა მოხუცმა. ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ვიმუსაიფენ, ბევრი ლექსიც სთქვა; ბოლოს წამოდგა მოხუცი სუფრიდგან, ერთი კიდევ გვისურვა დღეგრძელობა და ჭიქით ხელში ჩამოიღოცა:

აშენება და დოვლათი
ამ თქვენი ოჯახისაო,
ქაბაბის პური გქონიათ
და ღვინოც ბადაგისაო;
ქრისტე, იესო, მადლი ჰქენ,
მისმინე ცოდვის შვილსაო:
გვიცოცხლე სახლის უფროსი,
ნუ მისცემ წოლა ძილსაო,
ნურც უცნაურსა სიკვდილსა,
ნურც სალმობასა ძვირსაო;
კეთილის თვალოთ მოჰხედე
ამის წვრილსა და მსხვილსაო
ჯანი მიეცი სალ-კლდისა,
სიცოცხლეც ასის წლისაო;
(და) ღმერთო, შენა ხარ მოწყალე,
მომცემი ნუგეშისაო.

სოფ. ერთაწმინდა.

ი. კარგარეთელი.

აზერგაიჯანი

მძარცველობა ყუბის ოლქში.

აპრილის 12-ს მაძებარ პოლიციის ყურამდე მიაწია ცნობამ, რომ 10 დღის წინად სოფელ მუზაფში 3 შეია-

ინგლისი.

ბერლინ-ბაგდადი.

ინგლისელ ინჟინერ ბეიკერ-ბეის ბერლინ-ბაგდადის ხაზის ბაგდადიდან ბასრამდე, ეფრატის ხეობაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღებული კაცი ისიფ ბალა ოგდან თღლის თავს დაესხა და ისე მოხერხებულად გასძარცვეს რომ მიუხედავად სოფლის დახმარებისა მაინც ვერ დაიჭირეს.

შემდეგ ეჭვით დააპატიმრეს ოსმალეთის ქვეშევრდომი ალი თაირ-ოღლი, რომელიც გაძარცულებმა ყაჩაღად იცნეს...

ლ. პიშნოვის კონცერტები.

თბილისში კარგად ცბობილი ლევ პიშნოვი აზერბაიჯანის ქალაქ განჯაში კონცერტებსა ჰმართავს.

იუსუმბეგოვის ბრძანება.

აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი იუსუფბეგოვი თავის მოვალეობის ასრულებას უკვე შეუდგა. 16 აპრილს მან შემდეგი ბრძანება გამოუშვა რომელსაც სადეკლარაციო ხასიათი აქვს:

„ვიწყებ რა ჩემი მოვალეობის ამ რიცხვიდან აღსრულებას ჩემს უწყების საყურადღებოდ ვიცხადებ: სამინისტროს საქმიანობის ახლობელ მიზნად ვისახავ წესიერების და კანონის აღდგენას ყოველგვარი ანარქისტული გამოსვლები, რომელიმე პარტიის მიერ იქნება თუ ეროვნების მიერ, ჯგუფების ან კიდევ ცალკე პიროვნებების თვითნებობა ჩემში დაინახავს დაუზოგველ მოწინააღმდეგეს

პიროვნებისა და ქონების ხელშეუხებლობის დასაცავად ყველაზე ენერგიულ ზომებს მივიღებ.

აზერბეიჯანში დაბინადრებული ყველა ეროვნებანი ჩემ მიერ თანასწორად იქნებიან პატივცემულნი.

არავითარ ეროვნულ შუღლს მე არ დაუშვებ და ყოველი ამ გვარ ცდას მთელის ჩემის ძალებით შევებრძოლები.

აგრეთვე ჩემ მოვალეობათ ვსთვლი ვებრძოლო იმ ქურდობას და მექრთამეობას, რომელსაც ადგილი აქვს ადმინისტრაციაში და წვრილ მოხელეობაში; მე მკაცრი და დაუნდობელი ვიქნები ამ გვარ საქმის ჩამდენთათვის და ვეცდები ყოველგვარი ასეთი ბოროტმოქმედება დროზე აღმოვაჩინო ხოლმე.

ნებას ვაძლევ ბ-ნ გუბერნატორებს თავისი შეხედულების თანახმად დანიშნონ მაზრის უფროსები ხოლო მე წარმომიდგინონ ისინი დასამტკიცებლად, ასეთივე უფლებები ადმინისტრაციის მოხელეთა დანიშვნისა ენიჭება მაზრის უფროსებსაც. მთელ პასუხისგებას ამისათვის გენ.-გუბერნატორები ჰკისრულობენ“.

ბოლშევიკის დაპატიმრება.

მთავრობის ბრძანებით 15 დღით დააპატიმრეს „№ 2“ გემზე მოსამსახურე ეფიმ ბიჩენკოვი. მიზეზი დაპატიმრებისა არის ის, რომ ბიჩენკოვი წესიერების და კანონის წინააღმდეგ პროპაგანდას ეწეოდა.

ასტრახანთან მიმოსვლა.

ასტრახანში გემების გამგზავნელ კომისიამ კიდევ ინახულა ინგლისის მისია: ამ რიგად ინგლისელებს კატეგორიული უარი არ უთქვამთ; დაჰპირდნენ კონსტანტინოპოლს შევეკითხებითო.

პასუხს ამ რამდენიმე დღეში მოელიან.

ბაქოს ქალაქის თვითმართველობა და მთავრობა

ამას წინად ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს განუცხადა რომ იგი ქალაქის პოლიციის შენახვაზე უარს ამბობს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ეს განცხადება უმართებულოდა სცნო და ბაქოს გუბერნატორს აცნობა რომ მას ეცნობებინა ქალაქის თვითმართველობისათვის, რომ მათ არავითარი უფლება არ აქვთ უარჰყონ საქალაქო პოლიციური ნაწილების შენახვა. თუ ფინანსიური მდგომარეობა ხელს არ უწყობს ქალაქს იკისროს, მაშინ მან მთავრობას სთხოვოს დახმარება და უარის თქმა კი პოლიციის შენახვაზე არ შეუძლია. გუბერნატორმა ეს განცხადება ბაქოს თვითმართველობას გადასცა.

ასტრახანის აღება

აზერბაიჯანში ხმა გავრცელდა თითქოს ყაზახებმა ასტრახანი აიღეს.

ხურსათი ბაქოს

აპრილის 22-ისთვის ბაქოში შეიტანეს ხორბალი 16,855 ფუთი; ფქვილი 7241 ფუთი და კარტოფილი 2.105 ფუთი.

ჩრდილო კავკასია

მთიელთა წინადადება

მთიელთა პარლამენტმა დენიკინთან ზავის შეკვრისათვის აუცილებელ პირობებად შემდეგი პუნქტების ასრულება მოითხოვა.

1) მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორია გაიწმინდოს დენიკინის ჯარებისაგან და მათ მიერ დაჭერილი ის ოლქები, სადაც მთიელნი მოსახლეობენ კავშირს გადაცეს.

2) დენიკინის ადმინისტრაცია მთიელთა რესპუბლიკაში გაუქმნდეს.

3) დენიკინის ჯარში გაწვეულ მთიელთა დემობილიზაცია მოხდეს.

4) რუსეთის შინაგან საქმეებში მთიელთა ჩარევაზე უარი განეცხადოს.

5) მონაწილეობა არ მიიღოს მთიელთა იმ კონფერენციაზე, რომელიც ლიახოვმა მოაწყო და პროტესტი განუცხადოს ასეთ ყრილობებს..

მთიელთა და მოხალისეთა ომი

რადგან გენ. დენიკინი და კოცევი ვერ შეთანხმდნენ ამისათვის ომი მათ შორის განახლდა. მთიელთა ცნობით 16 აპრილს მთელ ფრონტზე მტერს უკან დაახევინეს.

გაფიცვა რკინის გზაზე

მთიელთა რესპუბლიკაში რკინის გზის გაფიცვა მოხდა. ბაქოს მუშათა წარმომადგენელნი გაფიცვის გამოსარკვევად გაემგზავრენ. როგოც ისინი იმედოვნებენ გაფიცვა სულ ახლო მომავალში გათავდება.

ჩრდილოეთში და ყაბარდაში

ლიახოვის მიერ შეკრებილი ყაბარდოელები და ოსები სახლებში გარბიან, მათი ყრილობები მოითხოვენ, რომ მხოლოდ მთიელთა მთავრობას დაემორჩილონ.

ყუბანის რადა და მთიელები

ყუბანის მთავრობის თავმჯდომარემ მთიელთა მთავრობას დეპეშა გაუგზავნა, რაშიაც იწვევდა მათ სამს წარმომადგენელს მაისის 13-ს ეკატერინოდარში საერთო რესპუბლიკათა კონფერენციის მოწვევისათვის მოსალაპარაკებლად. როგორც გადმოგვცემენ მთიელებს უპასუხნიათ რომ კავკასიის სახელმწიფოთა დაუკითხავად ის ამ ნაბიჯს არ გადასდგამს.

თერგის ოლქის ყაზახობა და მთიელები

თერგის ოლქის ყაზახობა ხედავს მათ და მთიელთა შორის შუღლს თუ რა მძიმე შედეგებიც მოჰყვება, ამისათვის მათთან ომის განგრძობას უარჰყოფენ და დიდ-დიდი ჯგუფებით სახლში გარბიან.

ცნობის უარყოფა

მთიელთა დიპლომატიურ წარმომადგენელმა აზერბაიჯანში კანტემირმა მინისტრ თავმჯდომარე კოცევისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გაზ. „ედინაია როსია“-ში დაბეჭდილ წერილში (სათაურად „დარუბანდი“) რაშიც ნათქვამია ვითომც დარუბანდში მთავრობა და ადმინისტრაცია არ არსებობდეს, ვითომც იქ ყველაფერი დაანგრიეს, ვითომც მრეწველობა და წარმოება მოსპეს და სხვა—ყველა ეს ჩემი გამოძიების თანახმად სიმართლეს არ შეეფერება. მართალია ამას ადგილი ჰქონდა, მაგრამ ეს მაშინ იყო როცა დარუბანდში ბიჩერახოვის ბოლშევიკური რაზმები პარპაშობდენ. მთიელთა ხელში გადასვლის შემდეგ იქ სრული წესიერებაა“.

დენიკინი და მთიელები

რაკი მთიელებთან შეთანხმება ვერ მოხდა დენიკინმა ხერხს მიჰმართა, მოიწვია თავის პატივის მცემელი მთიელნი (ჩაჩნები) და მას ჩაჩანთა ეროვნული ყრილობა უწოდა. ერთი ამნაირი ყრილობა მოხდა გროზნაში, სადაც ჩაჩნებმა გამოიტანეს დადგენილება დენიკინი მთელი თავის ძალით დაიცვან.

ჩაჩნებისა და ინგუშების პროტესტი

გროზნაში მოლაპარაკების შეწყვეტისთანავე ჩაჩნებში და ინგუშებში საპროტესტო მიტინგები იმართება, მიტინგებზე გამოსთქვამენ საერთო მობილიზაციის საჭიროებაზე აზრს. ამავე დროს როგორც მკითხველი წინა ცნობიდან დაინახავს დენიკინი ეკატერინოდარში ჩაჩანთა ეროვნულ ყრილობას აწყობს.

მეფუტკრეობის საზ. დარსება ქუთაისში

მეფუტკრეობის საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კრება მოხდა 25 აპრილს ქუთაისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში. ექ. გაბრიელ გოკიელის თაჯჯდომარეობით. მისალმების შემდეგ კრებამ მსჯელობა გამართა საზოგადოების შესახებ. ორატორთა აზრების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრებამ დაადგინა: კრებაზე არჩეულ 8 წევრისაგან შემდგარ კომისიამ დაუყონებლივ უნდა შეიმუშავოს ამ საზოგადოების წესდება და არა უგვიანეს ერთი კვირისა მოუწოდოს წევრებს და ფართო საზოგადოებას, რათა ხსენებულ კომისიამ გააცნოს კრება მათგან შემუშავებულ წესდებას. იგივე კრება ამოირჩევს გამგეობას სექციებით, რის შემდეგ საზოგადოება ენერგიულ მუშაობას შეუდგება.

წესდების შემმუშავებელ კომისიაში აირჩიეს: მღ. ვლადიმერ მაჭარაშვილი, მღ. პლატონ ცქიტიშვილი, წინამძღვარი დონ დამიან სააკაშვილი, ქ-ნი იანინა ხიჩევსკაია ბ. ბ. კ. ბერეკაშვილი, ი. მაჭავარიანი, ლექვინაძე და დავით ჩარკვიანი.

დასასრულ კრებამ მადლობა გამოუცხადა ამ საქმის ინიციატორებს: მღ. ვლ. მაჭარაშვილს, მღ. პ. ცქიტიშვილს და მამა დამიანე სააკაშვილს.

ვინმე.

ამხანაგობა „გუთანი“

ამ დღეებში თელავში დაარსდა ამხანაგობა „გუთანი“. ამხანაგობის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეთ სამეურნეო იარაღების მიწოდებით, თუ შეკეთებით. ჯერ ჯერობით იგი ხსნის თელავში სამეურნეო იარაღების შესაკეთებელ სახელოსნოს. საჭირო მასალა ფოლადი რკინა თუ სახელოსნოსთვის სხვა და სხვა იარაღები კიდეც შეძენილია და მოკლე ხანში სახელოსნო მოქმედებასაც დაიწყებს ამხანაგების სათავეში უდგანან ენერგიული ინჟენერები და ტეხნიკოსები, და იმედია მათი საქმიანობა ჩვენს ცხოვრებას თავის კვალს დააჩნევს.

ახლო მომავალში ამხანაგობა აპირობს ვიწრო ლიანდაგიან რკ. გზის გაყვანას თელავის სადგურიდან თელავამდე, და თელავიდან შუამთამდე. ამ ლიანდაგს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექმნება. იგი გაადვილებს მგზავრობას თელავიდან სადგურამდე და უკან, იგი ხელს შეუწყობს შეშის ადვილად ჩამოზიდვას შუამთის ტყეებიდან, და შეშასაც დააიაფებს. ამის გარდა მონასტერი შუამთა მშვენიერი საგარაკო ადგილია, და ეს რკინის გზა შუამთას ნამდვილ აგარაკად გარდააქცევს. ამხანაგობა „გუთანს“ უკვე მიუმართავს სადაც ჯერ არს და მიუღია ნებართვა გამოიტანოს საწყობიდან 11 ვერსის რელსი, საჭირო რიცხვი ორთქლმავლებისა და ვაგონებისა. საქმეს მხოლოდ უფულობა აფერხებს. ამხანაგობის პაი ღირს 5000 მან., და ნახევარზედ მეტი ამ პაებისა ჯერ გაუნაღდებელია. ეს საქმეს ძალიან აფერხებს. ამხანაგობას უკვე ნახევარ მილიონის ქონება აქვს შეძენილი, და ეს ამხანაგობა იმ მხრივაც სანდოა, რომ პაებიც ამაზედ მეტი თანხისა არა აქვს გამოშვებული. იმედია კახელები უყურადღებოდ არ დასტოვებენ ამ ფრიად საჭირო დაწესებულებას და პაების შეძენით თუ პირადის რჩევით დაეხმარებიან მას.

გ. ბ-ძე.

მრეწველობა

ჩათახის სახელმწიფო თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა.

სამთო-სამმართველოს საოლქო ინჟინერებმა ვ. გუნცაძემ და ა. ცეიტლინმა, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ბორჩალოს მაზრაში არსებულ ჩათახის სახელმწიფო თუჯის ჩამომსხმელ ქარხნის აღწერა და თვის მოსაზრებათა წარდგენა ამ ქარხნის ამოძრავების შესახებ, ვრცელი მოხსენება წარუდგინეს სამთო-სამმართველოს უფროსს ბ. ყიფშიძეს.

ჩათახის თუჯის ჩამომსხმელი ქარხანა თვის რკინის მადნებ 1) ცუგრუგუშენით“ და 2) „დამარდაგით“ მდებარეობს ბოლნისის ხეობაში ბორჩალოს მაზრაში 63—65 ვერსზე სამხრეთ-დასავლეთით თბილისიდან, თბილის-გუმბრის გზა ტკეცილზე და 38 ვერსზე თბილის-ყარსის რკინის გზის სადგურ სანდარის დაშორებით.

ქარხნების შენობანი და მადნები მდინარე პერპენდაჩაის ორთავე ნაპირზე მდებარეობს.

მადნები ქარხნიდან 2 ნახ.—3 ნახ. ვერსითაა დაშორებული მდინარე ბოლნის ხაჩინ-ჩაის ნაპირას.

ქარხანა 1863 წ. აუგიათ და მაშინვე მუშაობა დაწყებულა. ქარხანას უწარმოებია საქმე 1875 წლამდე. ამ წლიდან კი დღევანდლამდე აღარ მოქმედებს და ელის მუშაობის განახლებას, ადვილათ გასაგებია, თუ რა უნუგეშო მდგომარეობაში ჩაცვივდებოდა ამ 43—44 წლის განმავლობაში ქარხნის შენობანი, მანქანები და მთელი ინვენტარი ქარხნისა. მაგრამ გულ-დასმითი გამოკვლევის შემდეგ მნახველი რწმუნდება ამ ქარხნის სიდიადეში და სამუშაოს განახლების შეძლებაში, მით უმეტეს დღევანდელ არანორმალურ პირობებში, როცა სახელმწიფოს უგზოობის გამო არა აქვს საშუალება შემოიტანონ გარედან თუჯი, რკინა და ფოლადი.

ამისათვის სახელმწიფოს და მთავრობის ინტერესს წარმოადგენს რაც შეიძლება მალე განაახლოს მუშაობა ჩათახის ქარხანაში და მის მადნებში, რომ საძირკველი ჩეეყაროს თუჯის, რკინის და ფოლადის ჩამოსხმის მრეწველობას ჩვენს კუთხეში.

საკითხი თუჯის ჩამოსხმის წარმოებისა ჩათახის ქარხანაში თუ სახელმწიფოს სხვა კუთხეში უფრო სასურველია განხილულ იქმნეს რკინის და ფოლადის მეტალურგიის მოწყობის საკითხთან შეფარდებით, მაგრამ ამ გარემოებამ მაინც ხელი არ უნდა შეუშალოს ჩათახის ქარხნის სასურველ და საჭირო აღდგენის საკითხს, თუ გინდ მხოლოთ ჯერ-ჯერობით თუჯის ჩამოსხმის წარმოების დაწყებას, რომლისათვისაც დღეს ჩათახის ქარხანაში მრავალი ხელსაყრელი პირობებია: მოიძებნება ყველა საჭირო ღუმელი, სადურგლო, სამჭედლო, სამექანიკო, სამოდელო საზეინკლო, მრავალი ძვირფასი მოდელები, მანქანების სხვა და სხვა ნაწილები, სამეურნეო სასოფლო და შინაურ ოჯახურ საგნებისა, აგურის ქარხანა, საცხოვრებელი ბინები მოსამსახურეთა, მუშებისა და ხელოსნებისათვის, საოჯახო შენობანი (თავლა და ბოსელი) ორი რკინის მადანი, ტყიანი ადგილები და საჰიდრავლიკო ცოცხალი ძალა.

ჩათახის ქარხანას ეკუთვნის 2 რკინის მადანი ბოლნისის ხეობაში: 1) „დამირდაგის“ მთაში (რკინის მთა) და 2) ცუგრუგუშენი. ეს ორთავე მთანი აკადემიკ აბიხის მიერ ცნობილია ფრიად სერიოზულ და კეთილ საიმედო მადნებათ. ეს ორთავე მადნები დეტალურათ გამოკვლეულ უნდა იქმნეს და გამოირკვეს რამდენ მადანს შეიცავენ თვითეული მათგანი.

ქარხანასთან ორი ღუმელი არსებობს, რომელიც დღე ღამეში დაახლოვებით 1200 ფუთ თუჯს მისცემს, ხოლო წლიურათ 478-440 ათას ფუთ ჩამოსხმულ ნაცრისფერ თუჯს. თუჯის სხვა და სხვა საგნების ჩამოსასხმელათ ქარხანაში ორი ვეგრანკაა აგებული, წარმოება ორივე ვეგრანკისა დღეღამეში იძლევა 900 ფუთ თუჯს.

ქარხანაში აუარებელი მოდელებია. მოდელები გამოწერილია ბელგიის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ევროპის სახელმწიფოთა საუკეთესო ქარხნებიდან. სადურგლო, სამჭედლო, საფორმო ჩამოსასხმელი საზეინკლო და აგურის ქარხანა მზათაა დღესვე დაიწყონ წამოება. ქარხანის შენობანი შეკეთებას მოითხოვს.

ცოცხალი ძალით მდინარე ლოქ-სუსისა არ უსარგებლიათ. ორთავე მდინარეს პერპენდიკულარის და ლოქსუსს შეუძლიათ მისცენ ქარხანას 120 ცხენის ძალა. ჰაერის მომგვრელ ცილინრსა და ვენტილიატორს წუთში 4500 კუბ. ფუთი ჰაერი შეუძლია მიაწოდოს ქარხანას, რაც შეეხება სათბობ მასალას. ქარხანა შეშით მოძრაობდა. ქარხნის ბოლნის ხაჩინის ტყიან ადგილს უპირავს დაახლოვებით 1819 დეს. 1500 კვ. საქ. მიწა და გარდა ამისა იჯარითა აქვს აღებული შანშიევის ტყე დაახლოვებით 4970 დესეტინა. გარდა ამისა გარშემო ტყეებს უპირავს 5000 დესეტინა მიწა.

მუშა ხელი და სატრანსპორტო სახსარიც ქარხანის საკმაოთ მოეძებნება გარშემო სოფლებშიც. დასასრულ თვის მოხსენებისა გუნცაძისა და ცეიტლინის აზრით საჭიროა დაუყონებლივ შესდგეს სპეციალური საეკონომიო საეტეხნიკო კომისია ქარხნის დაუყონებლივ ასამუშავებლათ და დეტალურ პროექტის შესადგენათ.

16 აპრილს ინჟ. ბრაილოვსკის თავმჯდომარეობით ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა სამინისტროში შესდგა თათბირი ბორჩალოს მაზრაში მდებარე ჩათახის თუჯის ჩამომსხმელ ქარხნის ასამოძრავებლათ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ აირჩიეს საგანგებო კომისია ამ ქარხნებში სამუშაოს დაწყების დეტალურ პლანის შესამუშავებლათ. კომისიაში არჩეული არიან: ინჟ. გ. ნ. ნიკოლაძე, ინჟ. ლემანი, ინჟ. კოტრინი, ინჟ. გუნცაძე. აგრეთვე წარმომადგენელნი სამთო სამმართველოსი, საქართველოს რკინის გზისა და სატეხნიკო საზოგადოებისა.

ჰოკრესპონდენცია

გურიაში.

ამ რამდენიმე დღის წინად საქმეების გამო ჩოჩხათის საზოგადოებაში შემეხვდა ყოფნა. სოფ. ჩანჩეთში ჩემი ყურადღება მიიქცია სასოფლო შარა გზამ, რომლის კეთებას ამ ორი წლის უკან შეუდგა ხალხი.

მე მახსოვს, როგორი აღტაცებით აკეთებდენ ამ გზას მაშინ. ეს გზა იწყებოდა სადგურ ჯუმათიდან და უნდა შეერთებოდა სუფსა ლანჩხუთის დიდ შარა გზას.

ეხლა სულ სხვა სურათი გადამეშალა თვალწინ: გზის კეთება შეუჩერებიათ; იქ, სადაც უფრო კარგი ნაკეთები იყო გზა, სახლი ჩაუდგამთ, მშვენიერი ბოგა, რომელზედაც დიდი შრომაა გაწეული, დაუნგრევიათ და მასალაც წაუღიათ...

ერთ მოხუცებულ მგზავრს შევხვდი. ვკითხე: რათ მიანებეს ამ გზის კეთებას თავი მეთქი. მან მიპასუხა: „ასეა შვილო, ერთი აკეთებს და მეორე ანგრევს. აქ ერთი გლეხი იყო, ოქროპირ ტუღუში, სანამ ცოცხალი იყო, ყველა მას უღერებდა, მოკვდა და ჩვენი საქმეც ვერ მიდის კარგად. მას დარჩა შვილები. ერთი იმასავით გულშემატკივარია, ამ გზის კეთებაც იმან დაიწყო, მაგრამ ის აქედან წავიდა და გზის კეთებასაც თავი დაანებეს. იმან აქ გაზეთის საკითხვაც მოაწყო, გაზეთებიც გამოგვიწერა. მან იმაცადინა და სხვა კუთხიდან აქ კლასი გაღმოიტანა, მარა ჩვენ საზოგადოებაში არიან ბოროტი ადამიანები, რომლებმაც ეს კლასი დასწვეს. ასეთივე ბოროტები გამოუჩნდნენ მის დაწყებულ გზასაც და უნდათ, რომ ეს გზა არ იქნეს გაკეთებული“.

— ის სახლი ვინ დადგა ამ გზაზეთქო—შევეკითხე მოხუცს.

— ბესარიონ მოისწრაფეშვილმა—მიპასუხა.

— რათ მისცა ხალხმა ამის ნება მეთქი.—

— ხალხს ნება არა მიუცია, ჩოჩხათის საზოგადოების კომისარმა მისცა ნება,—ამის შემდეგ მან ბოგაც დაანგრია და სახლიც ჩადგა გზაშიო.—მითხრა მოხუცმა და განაგრძო:

— რას იზამ შვილო, ზოგიერთი ადამიანები, ისეთია, რომ ხალხის მტრებს და ორგულებს უფრო უწყობს ხელს—და რაღა გასაკვირალია, თუ ხალხი გულგრილად ეკიდება საზოგადო საქმესო.—

მოხუცის ნაღვლიანმა მუსაიფმა მე ღრმად ჩამაფიქრა. ამ საზოგადოებაში ინტელიგენცია ბლომად მოიპოება და ნუ თუ ხალხის მოწინააღმდეგე ელემენტების წინააღმდეგ მას არ შეუძლია ხმის ამოღება. გარდა ამისა, ჩანჩეთში, ეკლესიასთან არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი, წიგნთ-საცავ სამკითხველო და კოოპერატივი. აქ არის დაწყებული ეგნატე ნინოშვილის სახელობაზე ოთხ-კლასიანი სამეურნეო სასწავლებელი. არსებობს სასკოლო კომიტეტი, რომელიც მუშაობს ამ სკოლის აშენებაზე და მოწყობაზე. დაუწყიათ ტელეფონების გაყვანა, ბოძებიც დაუსვიათ და მავთულებიც დაუმზადებიათ.

სწორედ ამიტომ ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდ სამსახურსაც გაუწევს ის არა მარტო ჩანჩეთს, არამედ მთელ ჩოჩხათის საზოგადოებას.

ამ გზის კეთებაზე დიდი შრომაა გაწეული და ვერ გამიგია რად მიანებეს თავი თავი მის კეთებას და რად მისცეს ნება ბ-ნ მაიწსრაფეშვილს—დაედგა სახლი გზაში და ბოგაც დაანგრია.

როგორც მგზავრმა მოხუცმა გადმომცა, მაისწრაფეშვილი პარტიის კაცი ყოფილა და ამიტომაც გათამამებულა, რომ ხალხის წინააღმდეგ მოქმედობს.

ნუ თუ არა მოსთხოვენ მას პასუხს თავის მოქმედებაში?

ნუ თუ ის ხალხი, რომელიც ესოდენ გულმოდგინებით შეუდგა გზის გაყვანას, არ აღაგმავს თავის მოწინააღმდეგე ელემენტებს და კვლავ არა განაახლებს მუშაობას გზის დასამთავრებლად.

მე ვფიქრობ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს ოზურგეთის სამაზრო ერობამ და დაეხმაროს ხალხს გზის დამთავრებაში.

სტუმარი.

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსიდან—ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან—თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დაღის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

ექიმი

ა. მ. პაატაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).
(25—2324—1)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1
7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის ალექსანდრე დავითის ძის

კეკილიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მონსე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, საღსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
50—2119—44

სტამბა „ალიანსი“, გამომცემელი № 4.